ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №51
2015 წლის 12 ოქტომბერი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისში შესასახლებელი ბენეფიციარი ოჯახების შერჩევისა და სოციალური საცხოვრისის შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისში შესასახლებელი ბენეფიციარი ოჯახების შერჩევისა და სოციალური საცხოვრისის შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 მარტის №19 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 20/03/2015, 010250050.35.158.016227) დამტკიცებულ დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ა) ოჯახის სარეიტინგო ქულა სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში არ აღემატება 65000-ს;“.

2.მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„გ) მრავალშვილიანი ოჯახი, მათ შორის მარტოხელა მშობლის მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს სამი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი;“.

მუხლი 2

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისში შესასახლებელი ბენეფიციარი ოჯახების შერჩევისა და სოციალური საცხოვრისის შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 მარტის №19 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 20/03/2015, 010250050.35.158.016227) დამტკიცებულ დანართ №2-ში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. სოციალური კრიტერიუმების №1 გრაფაში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს:

65001-ზე ნაკლები – ქულა 0,5 (ქულა ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა ნახევარი ან ნახევარზე მეტი ფიქსირდება ერთსა და იმავე მისამართზე, სოციალური სააგენტოს ბაზაში).“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**